

ენათმეცნიერება Linguistic

სასამართლო ლინგვისტიკის ძირითადი მიზნები

ნათია ნემსაძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო

e-mail: natianemsadze@hotmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.04>

SJIF 2025: 8.584

სასამართლო ლინგვისტიკა სწრაფად მზარდი ინტერდისციპლინარული სფეროა, რომელიც ენობრივ ცოდნას, მეთოდებსა და შეხედულებებს იყენებს სამართლებრივ და სისხლის სამართლის სისტემებში. ეს ნაშრომი იკვლევს სასამართლო ლინგვისტიკის თეორიულ საფუძვლებს და მის პრაქტიკულ გამოყენებას, დისკურსის ანალიზს სამართლებრივ კონტექსტში და ენობრივი მტკიცებულებების ინტერპრეტაციას სისხლის და სამოქალაქო საქმეებში. ეს ნაშრომი იკვლევს ლინგვისტური თეორიისა და მეთოდოლოგიის გამოყენებას სასამართლო ექსპერტიზის კონტექსტებში და გვთავაზობს ენის ანალიზს - კერძოდ, იხილავს თუ როგორ ფუნქციონირებს ენა როგორც მტკიცებულება და სამართლებრივი ურთიერთქმედების საშუალება. სასამართლო ლინგვისტიკა, რომელიც ენისა და სამართლის გზაჯვარედინზეა, მოიცავს ქვესფეროების ფართო სპექტრს, მათ შორის ავტორობის დადგენას, სასამართლო ფონეტიკას, სოციოლინგვისტურ პროფილირებას და სამართლებრივი ტექსტების დისკურსის ანალიზს. კორპუსის ლინგვისტიკაზე, სტილისტიკასა და პრაგმატიკაზე დაყრდნობით, კვლევა სწავლობს მუქარის წერილებში სადავო ავტორობას, მოწმეთა ჩვენებების ენობრივ ნიმუშებს და პოლიციისა და ეჭვმიტანილის ინტერვიუებში ძალაუფლების ასიმეტრიას. მეთოდოლოგიური ჩარჩო აერთიანებს კორპუსზე დაფუძნებულ რაოდენობრივ ტექნიკას თვისებრივ დისკურსის ანალიზთან, რათა შეაფასოს ენობრივი ვარიაცია და მოლაპარაკის სპეციფიკური მარკერები.

ძირითადი ფოკუსის სფეროებია წერილობითი და ზეპირი ტექსტების ანალიზი, როგორცაა პოლიციის დაკითხვის ოქმები, სასამართლო დისკურსი, მუქარის შემცველი წერილები და ანონიმური შეტყობინებები. სტატიაში ასევე მოცემულია ეთიკური მოსაზრებები და სასამართლოში ენობრივი მტკიცებულებების წარდგენის სირთულეები. ლინგვისტიკის

როლი მნიშვნელოვანია გამოძიებებსა და სასამართლო პროცესებში; ლინგვისტურ ანალიზს შეუძლია მტკიცებულებების გამყარება, ადამიანის უფლებების დაცვა და სამართლიანობის ხელშეწყობა. სასამართლო ლინგვისტიკა დაკავშირებულია არა მხოლოდ იურისპრუდენციასთან, არამედ ბევრ სხვა დისციპლინასთან. ლინგვისტიკის ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და მისი თეორიული და პრაქტიკული განხილვა შემდგომ სტატიებში გაგრძელდება.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზა, სპეციალური ცოდნა, ტექსტის ინტერპრეტაცია

სასამართლო ლინგვისტიკა ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია. ლინგვისტური ექსპერტიზის წარმოშობის დადგენაც რთულია. ჯერ კიდევ ძველი საბერძნეთის დრამატურგები ხშირად ადანაშაულებდნენ ერთმანეთს პლაგიატორობაში. ამა თუ იმ წერილობითი ტექსტის ნამდვილი ავტორის დადგენა კაცობრიობას შემდგომშიც აინტერესებდა: მაგალითად, არსებობდა თუ არა სინამდვილეში შექსპირი ან ვინ იყო ბიბლიის ავტორი და ა.შ. XIX საუკუნეში ავტორობის დადგენის მეთოდების განზოგადების მცდელობა ჰქონდათ მეცნიერებს თ.კ. მენდენჰოლს, ავგუსტუს დე მორგანს და ადნი იულს. ეს მეთოდები ეფუძნებოდა მაგალითად სიტყვისა და წინადადების საშუალო სიგრძის დადგენას. მაგრამ ამ წესების პრაქტიკაში გამოყენება და ენათმეცნიერებასთან მისადაგება რთული აღმოჩნდა. ტერმინი „სასამართლო ლინგვისტიკა“ პირველად გამოიყენა შვედმა ენათმეცნიერმა იან სვარტვიკმა 1968 წელს თავის თემატურ კვლევაში „ევანსის მტკიცებულებები: სასამართლო ლინგვისტიკის სასარგებლოდ არსებული არგუმენტები“. ამ წელს ის მუშაობდა ლონდონის უნივერსიტეტში ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც ოციოდე წლით ადრე მოხდა ლონდონში, კენსინგტონის რაიონში. ეს საქმე ეხებოდა რამდენიმე ქალის მკვლელობას, რის გამოც ქუჩის სახლწოდებაც კი შეცვალეს. ამ საქმემ დასაბამი მისცა სასამართლო ლინგვისტიკის განვითარებას. სტარტვიკმა გააანალიზა 4 განცხადება, რომელიც გააკეთა 1950 წელს სიკვდილით დასჯილმა ტიმოთი ევანსმა დაკავების შემდეგ. რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით სტარტვიკმა გვიჩვენა, რომ ამ განცხადებებს შორის იყო მნიშვნელოვანი სტილისტური განსხვავებები, რაც ეჭვს ქვეშ აყენებდა იმ ფაქტს, რომ ისინი ერთი ავტორის დაწერილი იყო. სვარტვიკის კვლევის გამოქვეყნებამდე ოციოდე წლით ადრე ნახსენები იყო ტერმინი „სასამართლო ინგლისური“ ფილბრიკის წიგნში „ენა და სამართალი: სასამართლო ინგლისურის სემანტიკა“.

ტიმოთი ჯონ ევანსი გაასამართლეს მკვლელობის გამო და სასჯელის უმაღლესი ზომა - ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. ამ პიროვნების ბედი მოსვენებას არ აძლევდა ცნობილ ჟურნალისტს ლუდოვიკ კენედის, რომელიც 60-იან წლებში ამ საქმის გამოძიების მასალებს დაუბრუნდა და დახმარება სთხოვა შვედ ლინგვისტ იან სვარტვიკს. სვარტვიკი გახდა ერთ-ერთი პირველი ლინგვისტი, რომელმაც მის მიერ შეგროვებული უამრავი მონაცემის ლინგვისტური ექსპერტიზა ჩაატარა. მან დაადგინა, რომ ტიმოთი ჯონ ევანსის მიერ დაწერილი განცხადებები ორი სხვადასხვა სტილით არის დაწერილი,

უმრავლესობა კი - ე.წ. პოლიციური რეგისტრით არის შესრულებული. მან რაოდენობრივი ანალიზის შედეგად დაადგინა, რომ მის ნაწერებში ოფიციალური და სასაუბრო სტილი შერწყმული იყო ერთმანეთთან.

ზოგ განცხადებაში გამოყენებულია მხოლოდ სასაუბრო სტილი, თუმცა ზოგჯერ გვხვდება ისეთი სალიტერატურო გამოთქმები, როგორიცაა «incur a debt» (ვალის დადება), «terrific argument» (არნახული სკანდალი) და ა.შ. ევანსი ასეთი გამოთქმებს ვერ გამოიყენებდა, რადგანაც არ გააჩნდა სათანადო განათლება; ის უფრო რამე სასაუბრო გამოთქმას გამოიყენებდა, მაგალითად «bloody row» (თაქი აიწია). ლინგვისტმა დაამტკიცა, რომ მიცემულ ჩვენებებს ევანსი ვერ უკარნახებდა ჩამწერს. სვარტვიკის ექსპერტიზამ აიძულა შინაგან საქმეთა მინისტრი მოეხსნა მისთვის ბრალდება და გაემართლებინა იგი სიკვდილის შემდეგ. ისტორიამ დაადასტურა ამ გადაწყვეტილების სამართლიანობა. დიდი ხნის განმავლობაში ინგლისის კანონმდებლობაში მოქმედებდა წესების ნუსხა, რომელიც მოწმეების გამოკითხვას ეხებოდა, კერძოდ, კი ამ გამოკითხვის (დაკითხვის) მიმდინარეობას (ჩატარებას). ამ წესებს ერქვა მოსამართლეთა წესები (Judges' Rules), რომელთა მიხედვით 1) ეჭვმიტანილებს ჩვენებები პოლიციის თანამშრომლებისთვის უნდა ეკარნახათ; 2) პოლიციელებს არ ჰქონდათ ეჭვმიტანილების საუბრის შეწყვეტის უფლება; 3) ჩვენებების მიცემის ეტაპზე არავის ჰქონდა ეჭვმიტანილებისთვის კითხვის დასმის უფლება - უმნიშვნელო განმარტებების მოთხოვნის გარდა.

მაგრამ პრაქტიკაში, როგორც წესი, ასე თითქმის არასდროს ხდებოდა. პოლიციის თანამშრომელი სვამდა შეკითხვებს, ინიშნავდა მათ და შემდეგ თვითონ იწერდა ან ბეჭდავდა ეჭვმიტანილის ჩვენებებს. და რაც მთავარია, ამ დროს იყენებდა არა ეჭვმიტანილის ლექსიკას, არამედ ტექსტს პოლიციის მიერ დადგენილი წესითა და ფორმით. ამიტომაც პოლიციის ანგრიშებში ბევრია ისეთი ფრაზები, როგორიცაა I then observed, რაც ოფიციალური მეტყველებისთვის არის დამახასიათებელი, მაგრამ არა სასაუბრო ენისთვის. ეს სტილი ცნობილია „პოლიციური რეგისტრის“ სახელით და თავისთავად ექსპერტ-ლინგვისტების შესწავლის ობიექტს წარმოადგენს.

ჩვენებების მიცემის წესის დამდგენი მოსამართლეები ვერც აცნობიერებდნენ, რომ ჩვენების კარნახი და მათი სტენოგრაფირება წარმოადგენს ძალიან რთულ ამოცანას ჩვეულებრივი ადამიანისთვის. განსაკუთრებით რთულია კარნახის სწავლა და ამ დროს თანმიმდევრული და დეტალური თხრობის შენარჩუნება, ხარვეზების გარეშე. მაგრამ განმცხადებლის ამოცანაც არანაკლებ რთულია. როგორც წესი, ადამიანები ჩვენებას არ იძლევიან თანმიმდევრულად და სტრუქტურირებულად: ისინი ხშირად სწრაფად ლაპარაკობენ, ტოვებენ მნიშვნელოვან დეტალებს, უხვევენ თემიდან, ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას ემოციებს და ა.შ. ამის შედეგად, აღარ მუშაობს მოსამართლეების წესი და პოლიციელები თავისებურად ახდენენ ინფორმაციის ინტერპრეტირებას და ხშირად ეს არ ხდება ეჭვმიტანილის სასარგებლოდ. ამიტომაც, სასამართლო ლინგვისტიკის განვითარების პირველ ეტაპზე ექსპერტები ძირითადად მუშაობდნენ პოლიციური გამოკითხვის დროს მიცემული ჩვენებების ავთენტურობის დადგენაზე (მოახდინეს თუ არა ზეგავლენა ეჭვმიტანილზე). პირველად ამ საკითხებთან დაკავშირებული ჩვენებები ექსპერტ-ლინგვისტებმა 1989 წელს მკვლელობის საქმეზე გამართულ სასამართლო პროცესზე მისცეს. ექსპერტ-ლინგვისტმა დაამტკიცა „პოლიციური რეგისტრის“ არსებობა იმ ჩვენებაში, რომელიც ეჭვმიტანილის დანაშაულის მთავარ მტკიცებულებას წარმოადგენდა.

დღესდღეობით ტერმინი „სასამართლო ლინგვისტიკა“ გამოიყენება როგორც ზოგადი ტერმინი, რომელიც ეხება კვლევებსა და პრაქტიკას ყველა იმ სფეროში, სადაც იკვეთება იურიდიული და ლინგვისტური იტერესები. ზოგადად, ეს შესიტყვება ეხება ენის როლს, ფორმას და ღირებულებას იურიდიულ და სასამართლო-სამედიცინო დაწესებულებებში. კონკრეტულად კი, ეს სფეროებია: ურთიერთქმედების ორგანიზაცია სამართლებრივ გარემოში (მაგალითად, დაკითხვა პოლიციაში); მეტყველების სტილი სასამართლო დარბაზში (მაგალითად, ჯვარედინი დაკითხვის სტრუქტურა, ინსტრუქციები მსაჯულებისთვის); იურიდიული ინსტრუმენტების სტრუქტურა და სემანტიკა, იურიდიული ტერმინოლოგია, იურიდიული ზეპირი და წერილობითი თარგმანები; იურიდიული ინსტრუმენტების გამჭვირვალობა - მაგალითად, პოლიციური გაფრთხილებები და დროებითი სასამართლო ამკრძალავი ბრძანებები; ენობრივი უმცირესობებისა და ადამიანის ენობრივი უფლებები; ავტორობის სასამართლო ანალიზი; დავები სავაჭრო ნიშნების შესახებ; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და სხვ. სასამართლო ლინგვისტიკას ხანდახან სასამართლო სტილის-ტიკასაც უწოდებენ.

სასამართლო ლინგვისტური ექსპერტიზის, როგორც ექსპერტიზის დამოუკიდებელი დარგის გამოყენება საქართველოში XX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო. თანამედროვე საზოგადოებაში სამართალწარმოება წარმოუდგენელია პროფესიული ექსპერტიზის გარეშე. ამის გააზრების შედეგად გაერთიანდა სხვადასხვა პროფესიის (კრიმინალისტების, სასამართლო ექსპერტების და ლინგვისტების) წარმომადგენელთა ძალისხმევა და შემუშავდა ლინგვისტური ექსპერტიზის ჩატარების მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელთა საფუძველზე დგება ექსპერტული დასკვნები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ტექსტი შეიძლება იყოს მტკიცებულებითი ინფორმაციის წყარო, რომელიც აუცილებელია არა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების გამოძიებისას, არამედ სამოქალაქო საქმეების განხილვის დროსაც; აშკარაა, რომ სპეციალური ლინგვისტური ცოდნის გამოყენება აუცილებელია ისეთი საქმეების გადაწყვეტისას, რომლებიც დაკავშირებულია ენობრივი სიძულვილის და მტრობის, ენობრივი აგრესიის გამოხატვასთან, ბილწიტყვაობასთან, სამეტყველო თაღლითობასთან, სიტყვის თავისუფლების შელახვასთან. სამეტყველო ნაწარმოების შინაარსობრივ-აზრობრივი და ფორმალური მხარის ლინგვისტური ანალიზი არის ისეთი ენობრივი კონსტრუქციებისა და ერთეულების გამოვლენის საშუალება, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმით გათვალისწინებული კონკრეტული დანაშაულის თვისებები.

ლინგვისტური ექსპერტიზის ამოცანებია: სიტყვის, შესიტყვების, ფრაზეოლოგიზმის ან სხვა ენობრივი ერთეულის მნიშვნელობის განხილვა და მისი წარმოშობის განმარტება; ენობრივი ერთეულის მთავარი და კონოტაციური მნიშვნელობის დადგენა კონკრეტულ კონტექსტში; ტექსტის (ფრაზის, აზრის და ა.შ.) კვლევა მისი აზრობრივი დანიშნულების დადგენის მიზნით. ნახსენები ამოცანები კონკრეტდება საქმეების სხვადასხვა კატეგორიების მიხედვით, ანუ ლინგვისტური ექსპერტიზის შინაარსი და ამოცანები აბსოლუტურად იდენტურია სხვა ლინგვისტური კვლევების ამოცანების. უბრალოდ, აქ საქმეების კატეგორიები განსაზღვრავს ლინგვისტური ექსპერტიზის ამოცანებს.

ექსპერტმა-იურისტმა არ უნდა გადაწყვიტოს სამართლებრივი საკითხები, რაც მათ კომპეტენციას სცდება: მაგალითად, შეიცავს თუ არა გავრცელებული ინფორმაცია დამაზიანებელ ფაქტებს და ესადაგება თუ არა ეს მონაცემები სინამდვილეს.

ლინგვისტური ექსპერტიზის ჩატარების მოთხოვნა დამოკიდებულია შესაბამის საჭიროებებზე. ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზის შედეგად უნდა განისაზღვროს: 1) არის თუ არა ნახსენებ ფრაზებში უარყოფითი მონაცემები ამა და ამ პირის შესახებ, თუ არის, როგორი ფორმით არის ისინი გამოხატული (მტკიცებულება, კითხვა თუ რამე სხვა ფორმით); 2) მტკიცდება თუ არა ტექსტის ლინგვისტიკური ანალიზით, რომ ის შეიცავს ინფორმაციას (მტკიცებულებითი ფორმით) ეჭმიტანილის მიერ მოქმედი კანონმდებლობის, მიღებული საზოგადოებრივი ნორმების დარღვევის შესახებ; 3) რა მნიშვნელობით არის გამოყენებული ნახსენები სიტყვა, შესიტყვება, კონსტრუქცია და ა.შ.; რა სტილისტური ხერხებია გამოყენებული ტექსტში და როგორ ახასიათებენ ისინი ტექსტის ავტორს; ტექსტში მოცემული ინფორმაცია ფაქტების კონსტატაციას წარმოადგენს თუ არა - თუ კი, მაშინ რა ფაქტების კონსტატაციაა? თუ ტექსტში მოცემული ინფორმაცია წარმოადგენს ავტორის შეფასებით მსჯელობას? რა ემოციურ-ექსპრესიული ენობრივი ხერხებია გამოყენებული? შეფასებითი მსჯელობის შემოწმება შეუძლებელია ფაქტების კონსტატაციისგან განსხვავებით.

ფორმალურ-სემანტიკური მიდგომა ტექსტის ანალიზისას გულისხმობს გამონათქვამის კომუნიკაციური ფუნქციის გამოვლენას. ტექსტში ისეთი კონსტრუქციების არსებობა, როგორიცაა „მგონია“, „დავუშვათ“, „ჩემი აზრით“ მიუთითებს სუბიექტური შეფასების ექსპლიკაციაზე.

პრაგმატიკული მიდგომა გულისხმობს ავტორის მსოფლმხედველობის ანალიზს ტექსტის შექმნის პერიოდში და ადრესატის მიერ მის აღქმას. პრაგმატიკული ანალიზის შედეგები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სემანტიკური მიდგომის მონაცემებს. პრაგმატიკული მიდგომა შესაძლებლობას გვაძლევს გავაფართოვოთ და შევავსოთ სემანტიკური ანალიზი ფარული სამეტყველო ზემოქმედების გამოვლენის გზით. მაგალითად, შეხედულების მარკერების შემცველი გამონათქვამები არ ითხოვს მკითხველისგან პრობლემის განხილვას, ის ითხოვს წარმოდგენილი ფაქტების უაპელაციო მიღებას.

სასამართლო ლინგვისტიკის ქვესფეროებია:

- ავტორობის დადგენა - სადავო ტექსტის ავტორის იდენტიფიცირება ან დადასტურება ლინგვისტური მახასიათებლების გამოყენებით.
- დისკურსის ანალიზი: მნიშვნელობის შესწავლა სამართლებრივ გარემოში, ისეთში, როგორიცაა. მაგალითად, სასამართლო ან პოლიციის დაკითხვები.
- სასამართლო ფონეტიკა: მეტყველების მახასიათებლების ანალიზი მომხსენებლების იდენტიფიცირების ან ჩანაწერების ავთენტურობის დასადგენად.
- პროფილირება - სასამართლო ლინგვისტიკის მეთოდების გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა სადავო ტექსტების სავარაუდო ავტორის დადგენა; ენობრივი მახასიათებლების (მაგ., სინტაქსის, დიალექტის) გამოყენება ანონიმური ავტორების ან მოსაუბრის მახასიათებლების დასადგენად.

ანალიზისას ლინგვისტები ადარებენ ენობრივ მახასიათებლებს - ისეთებს, როგორიცაა ლექსიკა, სინტაქსი, პუნქტუაცია და დისკურსის მარკერები. მნიშვნელოვანია

აღინიშნოს აშშ-ში მომხდარი ცნობილი „ამფეტეხელის საქმე“ („უნიზომბერის“) (1996). გამოძიების ფედერალური ბიუროს ლინგვისტიკებმა შეადარეს დამნაშავეს მიერ გამოქვეყნებული მანიფესტი ექვმიტანილი ტედ კაჩინსკის პირად ნაწერებს. ისეთი გამორჩეული მახასიათებლები, როგორიცაა იშვიათი ფრაზები და სინტაქსური ნიმუშები ხელს უწყობდა მის ანონიმურ ტექსტებთან დაკავშირებას, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მის დაპატიმრებას. ეს საქმე ეხებოდა აშშ-ში მომხდარ ამფეტეხების სერიას, რომლის დროსაც „უნიზომბერად“ ცნობილმა დამნაშავემ 35 000 სიტყვიანი მანიფესტი გაავრცელა სახელწოდებით „ინდუსტრიული საზოგადოება და მისი მომავალი“. გამოძიების ფედერალური ბიუროს ლინგვისტიკებმა მანიფესტი შეადარეს ტედ კაჩინსკის ლინგვისტიკებმა ბევრი სტილისტური მსგავსება აღმოაჩინეს - მაგალითად, სიტყვების, როგორიცაა „ცივი ლოგიკოსები“ და „ინდივიდის“ თანმიმდევრული გამოყენება „პიროვნების“ ნაცვლად. ენობრივმა მტკიცებულებების შედეგად გამოიცა ჩხრეკის ორდერი და საბოლოოდ კაჩინსკი დააპატიმრეს და მან დანაშაული აღიარა.

ლინგვისტიკებს ასევე შეუძლიათ ავტორობის პროფილირება, ისეთი მახასიათებლების საფუძველზე, როგორიცაა რეგიონი, ასაკი ან განათლების დონე. მნიშვნელოვანია აღინიშნოს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქალაქის უბნის მეტყველების მახასიათებლებიც, რომლებიც ხშირად გამოუყენებიათ პროფილირებისთვის. მაგ. თბილისის ვაკის უბნის მკვიდრის მეტყველება vs ნაძალადევის უბნის მკვიდრის მეტყველება.

მეთოდოლოგია და ტექნიკა

სტილომეტრიული ანალიზი, რომელიც მოიცავს სტილის სტატისტიკურ ანალიზს, მათ შორის ლექსიკურ პრეფერენციებს, წინადადების სიგრძეს, პუნქტუაციას და სინტაქსურ სტრუქტურებს.

სასამართლო ფონეტიკა და მოლაპარაკის იდენტიფიკაცია. სალაპარაკო ენის მტკიცებულებები (მაგ. მუქარის შემცველი ზარები, ფარული ჩანაწერები) ხშირად საჭიროებს ექსპერტულ ანალიზს. სასამართლო ფონეტიკა მოიცავს ტონის, ინტონაციის, აქცენტის, რიტმის შესწავლას მოსაუბრეთა შესადარებლად. ის გადამწყვეტ როლს თამაშობს ანონიმური პირების იდენტიფიცირებისას, განსაკუთრებით გამოსასყიდის ან მუქარის შემცველი შეტყობინებების ანალიზისას. ანალიტიკოსები ადარებენ ადამიანის ხმის ცნობილ და უცნობ ნიმუშებს.

კორპუსის ლინგვისტიკა იძლევა ენობრივი ნიმუშების სისტემატური ანალიზის საშუალებას.

სასამართლო ლინგვისტიკის მეთოდების გამოყენება - სასამართლო ლინგვისტიკები მონაწილეობენ შანტაჟის ან გამოსასყიდის შესახებ შეტყობინებების, ცილისწამების და ონლაინ მუქარის შემცველი საქმეების გამოძიებაში. ტექსტური ნიმუშების ანალიზს შეუძლია ექვმიტანილის ანონიმურ შეტყობინებებთან დაკავშირება ან მოწმის ჩვენებებში სიცრუის გამოვლენა.

ლინგვისტიკები აანალიზებენ სასამართლო ენას, რათა შეაფასონ სასამართლო პროცესების სამართლიანობა, განსაკუთრებით კი ის ფაქტი, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს დაკითხვის სტილმა მოწმეებზე ან მიკერძოებულ ნაფიც მსაჯულებზე.

კიბერდანაშაული და ონლაინ სიძულვილის ენა - სასამართლო ლინგვისტიკა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მუქარის შემცველი კომუნიკაციების, სიძულვილის ენისა

და კიბერდავების ანალიზისთვის. ექსპერტები იყენებენ კორპუსის ლინგვისტიკას, დისკურსის ანალიზს და ენის დამუშავების ტექნიკას იმის დასადგენად, ნამდვილად მუქარის შემცველია თუ არა შეტყობინება, ვის შეიძლება ის დაეწერა და რა განზრახვაა კოდირებული მის ენაზე. მაგალითად, საჯარო პირების წინააღმდეგ ონლაინ გამოქვეყნებული მუქარების გამოძიებისას სასამართლო ლინგვისტიკები ეხმარებიან პოლიციას შეტყობინებების IP მისამართების მიკვლევაში, ავტორების იდენტიფიცირებაში, სოციალურ მედიაში შეურაცხყოფელი შინაარსის პოსტების კლასიფიკაციაში.

ციფრული კომუნიკაციების გავრცელებამ, გააფართოვა სიძულვილის ენის გამოყენების არეალი. ლინგვისტიკები აქაც ეხმარებიან იურისტებს იმის დადგენაში არღვევს თუ არა გამოყენებული ლექსიკა სამართლებრივ წესებს და როგორ შეიძლება ციფრული ანონიმურობის მიღწევა.

მზარდი მნიშვნელობის მიუხედავად, სასამართლო ლინგვისტიკა რამდენიმე გამოწვევის წინაშე დგას: 1) სასამართლოში დასაშვებობა - ლინგვისტური მტკიცებულებები უნდა აკმაყოფილებდეს სამეცნიერო სანდოობის სტანდარტებს. 2) მიკერძოება და სუბიექტურობა - ლინგვისტურ ინტერპრეტაციაზე შეიძლება გავლენა იქონიოს ანალიტიკოსის მიკერძოებამ. 3) კონფიდენციალურობა და თანხმობა: პერსონალური ლინგვისტური მონაცემების გამოყენება ეთიკურად მიუღებელია. 4) ახალი ტენდენციები და ხელოვნური ინტელექტისა და ბუნებრივი ენის დამუშავების (NLP) სფეროში მიღწეული წარმატებები ცვლის სასამართლო ლინგვისტიკას.

ახლა კონკრეტულად განვიხილოთ სასამართლო ლინგვისტური ანალიზის ნიმუშები. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთ კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ქსელების ასე ფართოდ გამოყენების ეპოქაში.

ელექტრონული ფოსტით ანონიმური მუქარების გავრცელება - ერთ-ერთი ორგანიზაციის თანამშრომელმა მიიღო ანონიმური მუქარის შემცველი ელექტრონული წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ის უკანონოდ გაათავისუფლეს თანამდებობიდან და ამ უსამართლო ფაქტის გამო ის „სიცოცხლეს გაუმწარებდა“ ორგანიზაციის დირექტორს და მის მოადგილეებს. არსებობს რამდენიმე ეჭვიმტანილი - კონკურსში მონაწილე პირები, რომლებსაც უარი ეთქვათ თანამდებობის დაკავებაზე. 1) შეისწავლეს ამ პირების საუბრის მანერა, სტილი, ლექსიკა, შესიტყვება „სიცოცხლეს გაგიმწარებთ“; - გამოყენებული აქვთ თუ არა მათ ასეთი შესიტყვებები ადრეულ წერილებში. ეს ყველაფერი კავშირში უნდა იყოს ამ პირების მოტივებთანაც. 2) გაანალიზეს სინტაქსი: მაგალითად, გამოყენებული იყო მარტივი მოკლედ წინადადებები; პუნქტუაცია უჩვეულო იყო, ყველა წინადადება მთავრდებოდა ძახილის ნიშნით. ამ სტილს ვადარებთ ეჭვიმტანილი პირების წინა ნაწერებს. 3) ორთოგრაფია და გრამატიკა: მაგალითად, ერთ-ერთი ეჭვიმტანილი იყენებდა არსებით სახელებს მრავლობით რიცხვში რიცხვითი სახელის „ბევრი“ შემდეგ. 4) პრაგმატიკა. რა განზრახვა ჰქონდა ეჭვიმტანილს. როგორი ტიპის მუქარა იყო - პირდაპირი თუ ირიბი. 5) ლექსიკური ერთეულები. მდიდარია თუ არა ელ. ფოსტის ავტორის სიტყვათა მარაგი. თანხვედრაშია თუ არა ის ეჭვიმტანილის საუბრის მანერასთან. ანალიზის დასკვნა ეყრდნობა სტილისტურ, ლექსიკურ, სინტაქსურ და პრაგმატიკულ მახასიათებლებს, რომლებიც ადასტურებენ ან უარყოფენ, რომ კონკრეტული ეჭვიმტანილი პირები არიან განსახილველი ელექტრონული ფოსტის ავტორები. ზოგადად, ლინგვისტური მტკიცებულებები მაღალი ხარისხის ნდობით ხასიათდება.

თანამედროვე სამყაროში ძალიან ხშირია ცილისწამების, მუქარისა და სიმუღვილის ენის შემცველი ტექსტების ანონიმურად გავრცელება სოციალურ ქსელებში. ამიტომ ასეთი ტიპის ტექსტების ანალიზიც ძალიან ხშირია სამართალდამცავ ორგანოებში. ანალიზის მიზანია დადგინდეს, არის თუ არა განცხადება ცილისმწამებლური ან დისკრიმინაციული, ხდება თუ არა ძალადობის წახალისება. მაგალითად, პოლიტიკოსს ბრალი ედება სოციალურ მედიაში საჯარო პირის ცილისწამებაში. ლინგვისტი აფასებს იმას, ფაქტია თუ მოსაზრება ნახსენები განცხადება; აყენებს თუ არა ის ზიანს პირის რეპუტაციას; ასეთი ანალიზის შედეგი ეხმარება სამართალდამცავებს დაადგინონ სცილდება თუ არა განცხადება სამართლებრივ ჩარჩოებს.

ძალიან მნიშვნელოვანია ზეპირი ტექსტების ანალიზი, სადაც ლინგვისტის როლი ფასდაუდებელია. უნდა მოხდეს მოლაპარაკის იდენტიფიცირება ან მისი ავტორობის გამორიცხვა მისი ხმისა და მეტყველების ნიმუშების საფუძველზე. მაგალითად, ხდება ჩაწერილი სატელეფონო ზარის ანალიზი ადამიანის გატაცების სააქმეში. ანალიზებენ მოლაპარაკის აქცენტს, ტონს, რიტმს, იდიოლექტს, საუბრის ფონეტიკურ მახასიათებლებს. ანალიზის შედეგი ადასტურებს ან უარყოფს მოსაუბრის ვინაობას.

სასამართლო ლინგვისტიკა ღირებულ ინფორმაციას გვაწვდის ენისა და სამართლის გადაკვეთის სფეროს შესახებ. მის წვლილს სულ უფრო მეტად აღიარებენ სისხლის სამართლის გამოძიებებში, ფაქტების სამართლებრივ ინტერპრეტაციასა და საბოლოო ჯამში, სამართლიანობის დადგენაში. ეს სფერო სწრაფად ვითარდება და ამიტომ მისდამი ინტერდისციპლინარული მიდგომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მისი ეფექტიანი გამოყენებისათვის.

ამრიგად, სასამართლო ლინგვისტიკა თავიდან გამოიყენებოდა სასამართლო საქმის წარმოების დროს, ისიც გამოძიების სტადიაზე, რომელიც ხდება ჩადენილი დანაშაულის აღმოჩენის შემდეგ. დღესდღეობით სასამართლო ლინგვისტიკა აღარ შემოიფარგლება კონკრეტული სოციალური გარემოთი; ის პროაქტიული გახდა და ლინგვისტები ჩართულები არიან დანაშაულებრივი ჯგუფების კვლევა-გამოვლენაში. სასამართლო ლინგვისტიკა დაკავშირებულია არა მხოლოდ იურისპრუდენციასთან, არამედ ბევრ სხვა დისციპლინასთან. ლინგვისტიკის ეს დარგი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს და მისი თეორიული და პრაქტიკული განხილვა ჩემს შემდგომ სტატიებში გაგრძელდება.

ლიტერატურა:

- Coulthard, M., Johnson, A., & Wright, D. (2017). *An Introduction to Forensic Linguistics*. Routledge.
- Grant, T., & MacLeod, N. (2020). *Forensic Linguistics: Foundations and Future Directions*. *Annual Review of Linguistics*, 6, 383–401.
- Shuy, R. W. (2006). *Linguistics in the Courtroom: A Practical Guide*. Oxford University Press.

Natia Nemsadze

Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Tbilisi, Georgia

e-mail: natianemsadze@hotmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2025.34.04>**SJIF 2025:** 8.584

The Primary Goals of Forensic Linguistics

Abstract

This paper explores the theoretical foundations and practical applications of forensic linguistics, including authorship attribution, discourse analysis in legal contexts, and the interpretation of linguistic evidence in criminal and civil cases. Key areas of focus include the analysis of written and spoken texts, such as police interviews, courtroom discourse, threatening letters, and anonymous messages. The study also examines ethical considerations and the challenges of presenting linguistic evidence in court. Through case studies and recent developments, this paper highlights the crucial role linguists play in investigations and legal proceedings, demonstrating how language analysis can support or challenge evidence, protect individuals' rights, and contribute to justice.

This paper investigates the application of linguistic theory and methodology within forensic contexts, offering a comprehensive analysis of how language functions as both evidence and a medium of legal interaction. Forensic linguistics, situated at the intersection of language and law, encompasses a range of subfields, including authorship attribution, forensic phonetics, sociolinguistic profiling, and discourse analysis of legal texts. Drawing on corpus linguistics, stylistics, and pragmatics, the study examines casework involving disputed authorship in threatening letters, deceptive linguistic patterns in witness statements, and power asymmetries in police-suspect interviews. The methodological framework combines quantitative corpus-based techniques with qualitative discourse analysis to assess linguistic variation and speaker-specific markers.

Key words: Forensic linguistic analysis, special knowledge, text analysis

რეგენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა